

ნატა ახმეტელი, ბესიკ ლორთქიფანიძე

ისტორია

კონსპექტი

ეროვნული

გამოცდისათვის



ნატა ახმეტელი, ბესიკ ლორთქიფანიძე, ნიკო მურღულია

ისტორია

ტესტები ეროვნული გამოცდისათვის

რედაქტორი სოლომონ ნოზაძე, ლალი ბაქრაძე

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2025

ყველა უფლება დაცულია

ISBN 978-9941-11-913-2

[www. diogene. ge](http://www.diogene.ge)

ქვირფასო მეზობრეო!

2013 წელს გამომცემლობა „დიოგენემ“ გამოსცა **ტესტები ისტორიის ეროვნული გამოცდისთვის**, რომელიც საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროსა და ეროვნული გამოცდებისა და შეფასების ცენტრის მიერ შემუშავებული ისტორიის საგამოცდო პროგრამის მიხედვით იყო შედგენილი. წინამდებარე განახლებული გამოცემა 2016 წლის ისტორიის ეროვნული გამოცდის ფორმატის ანალოგიურია.

კრებული შეიცავს **ოც** ტესტს. თითოეული ტესტი **შვიდი** სხვადასხვა დავალებისგან შედგება. დავალების პირველი ტიპი – **კითხვები პასუხების მრავლობითი არჩევნით** – 29 თითოქულიან კითხვას შეიცავს და, შესაბამისად, 29-ქულიანია. დავალებაში დასმულია კითხვა, რომელსაც ოთხი სავარაუდო პასუხი ახლავს. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. უნდა შემოხაზოთ სწორი პასუხი. მეორე დავალებაა **ქრონოლოგიის განსაზღვრა**. დავალებაში მოცემულია ჩამონათვალი (ისტორიული პიროვნების ან მოვლენების) და ფასდება 3 ქულით. მესამე დავალება, რომელიც 9-ქულიანია, ითვალისწინებს **ვიზუალური წყაროების (პლაკატების, კარიკატურების, მარკების დროშების, მონეტების)** ანალიზს. დავალების მეოთხე ტიპია **არგუმენტაცია** (რომელიმე ისტორიული მოვლენის შესახებ ორი საპირისპირო მოსაზრების დასაბუთება), რომელიც ოთხი ქულით ფასდება. 8-ქულიანია **რუკის ანალიზი**. დავალების ბოლო (17-ქულიანი) ტიპია **წერილობითი წყაროს ანალიზი**, რომელიც მოითხოვს თანდართულ კითხვებზე პასუხის გაცემას. ტესტების მაქსიმალური ქულათა მარაგი, ეროვნული გამოცდის ტესტის მსგავსად, **70 ქულას** შეადგენს.

ეს კრებული დაეხმარება არა მხოლოდ XII კლასის მოსწავლეებსა და აბიტურიენტებს სასკოლო შემაჯამებელი და ეროვნული გამოცდების ჩაბარებაში, არამედ ისტორიის მასწავლებლებსაც, მოსწავლეთა ცოდნის შესამოწმებლად ტესტირების ჩატარების პროცესში..

1. ქველი ახლო აღმოსავლეთი

ძვ. წ. IV ათასწლეულში დედამიწაზე პირველი სახელმწიფოები შეიქმნა, რითაც კაცობრიობის ისტორიაში პრეისტორიული ხანა დასრულდა და ცივილიზაციის ხანა დაიწყო. პრეისტორიული ხანის დასრულებასა და ცივილიზაციის დაწყებას თანხვედბა არქეოლოგიური პერიოდიზაციით ქვის ხანისა და ენეოლითის დასასრული და ბრინჯაოს ხანის დასაწყისი. ამგვარად, კაცობრიობა ახალ ეტაპზე გადავიდა როგორც ახალი მასალის აღმოჩენისა და გამოყენების, ისე საზოგადოების განვითარების თვალსაზრისით.

ცივილიზაციის დამახასიათებელი მრავალი ნიშანი არსებობს, მაგრამ პირველყოფილი საზოგადოებისგან ძირითად განმასხვავებელ ნიშნად მეცნიერები ქალაქების, სახელმწიფოსა და დამწერლობის არსებობას მიიჩნევენ. თუმცა, შესაძლოა, არსებობდეს სახელმწიფო დამწერლობის გარეშე. ამ შემთხვევაშიც, პრეისტორიული ხანა დასრულებულია. პირველი სახელმწიფოები ერთ გეოგრაფიულ სარტყელში, მდინარეების სანაპიროებზე აღმოცენდა: ეგვიპტური – ნილოსის, შუამდინარული – ტიგროსისა და ევფრატის, ინდური – ინდისა და განგის, ჩინური – ხუანხესა და იანძის აუზებში. მდინარეებს იმდენად დიდი წვლილი მიუძღვის ამ ცივილიზაციების არსებობასა და განვითარებაში, რომ ხშირად მათ **სამდინარო ცივილიზაციებადაც** მოიხსენიებენ. მდინარეები ხელს უწყობდა მინათმოქმედებისთვის ვარგისი მიწების მოწიფვას, ვაჭრობის განვითარებას. მათი საშუალებით გაადვილებული იყო კომუნიკაცია ამ დიდი მდინარეების აუზში მდებარე რეგიონებს შორის.

1.1. შუამდინარეთი

ურუქი – მსოფლიოს უძველესი ქალაქი ძვ. წ. IV ათასწლეულის შუა ხანებში თანამედროვე ერაყის ტერიტორიაზე, სამხრეთ მესოპოტამიაში (შუამდინარეთში), მდინარეებს – ევფრატსა და ტიგროსს შორის არსებულ ნაყოფიერ მიწებზე, დაიწყო მინათმოქმედების, მეცხოველეობის, ხელოსნობისა და ვაჭრობის განვითარება. აქ წარმოიშვა ქალაქი ურუქი, რომელსაც გარშემო სქელი გალავანი ერტყა. ლიტერატურული გადმოცემით, ქალაქის კედლები ურუქის მეფე **გილგამეშის** ბრძანებით აშენდა. აქ ცხოვრობდა ძველი შუამდინარეთის მოსახლეობა, რომელიც შუმერულ ენაზე ლაპარაკობდა. ქალაქის იერარქიის სათავეში იდგნენ როგორც საერო (მმართველები, მწიგნობრები და მცველები), ისე სასულიერო პირები (ქურუმები). მათ მოვალეობაში შედიოდა საზოგადოების ერთიანობა და შრომისა და ანგარიშსწორების გადანაწილება. ურუქის ქალაქ-სახელმწიფოს ფუნქციონირებისთვის საჭირო იყო სამი ძირითადი ასპექტი:

- ▶ ა. ადმინისტრაციული;
- ბ. სამხედრო თავდაცვა;
- გ. რელიგიური.

ადმინისტრაცია ზრუნავდა ქალაქ-სახელმწიფოს ეკონომიკაზე, სოფლების მიერ ქალაქის სურსათით მომარაგებაზე, საჭირო ნედლეულის მოპოვებაზე, განსაზღვრავდა მცხოვრებთა შორის ქონების განაწილებას, მართავდა სახელმწიფოს მიწებს, ინვესტავდა მშენებლებს არხების, ტაძრებისა და გალავნების ასაშენებლად. ქალაქში დაგროვებული სიმდიდრის დასაცავად შეიქმნა ჯარი, რომელიც როგორც ქვეყნის გარეთ, ისე შიგნითაც იცავდა წესრიგს. იმავდროულად, ტაძრის მსახურები ყოველდღიურ საკულტო საქმიანობაზე ზრუნავდნენ. სახელმწიფოს ეს სამი ფუნქცია კი ერთიანდებოდა ერთ ხელისუფალში, თემის მეთაურში, ანუ მეფეში, რომელიც ქალაქს ღვთაების სახელით მართავდა. ამ პერიოდში ჯერ არ არსებობდა სამეფო რეზიდენცია და ძალაუფლების სიმბოლოს წარმოდგენდა ბორცვზე მდგარი დიდი ტაძარი, რომელსაც გარშემო სხვადასხვა დანიშნულების ადმინისტრაციული შენობა ერტყა. აქ მეფე რელიგიურ რიტუალებს ასრულებდა და მოსახლეობას ხვდებოდა. ტაძრის უზარმაზარი ზომები, ბრწყინვალეობა და სიმდიდრე მას ქალაქის სხვა შენობებისგან გამოყოფდა.

შუმერული ქალაქები – სამეფო ძალაუფლების უძველესი ფორმები

ძვ. წ. 3000 წლიდან მესოპოტამიაში ურუქის სიახლოვეს ერთნაირი ზომისა და სტატუსის ახალი **ქალაქ-სახელმწიფოები**: ური, ერიდუ, ლაგამი, უმა, ადაბი, შურუფაქი, ნიფური, ქიში, ეშუნა, აშური და მარი დაარსდა. ისინი ერთმანეთისგან, დაახლოებით, 30 კმ-ით იყვნენ დაშორებული. ამ პერიოდში მესოპოტამიაში ერთ სივრცეში უკვე სხვადასხვა ენაზე მოსაუბრე ხალხი ცხოვრობდა – თუ სამხრეთი შუმერებით იყო დასახლებული, ჩრდილოეთში სემიტები სახლობდნენ. ყოველ ქალაქს თავისი მფარველი ღვთაება ჰყავდა, რომელსაც თავყვანს სცემდნენ ქალაქის მთავარ ტაძარში. ანუსა და ინანას თავყვანს სცემდნენ ურუქში, ენლილს – ნიფურში, ენქის – ერიდუში. საინტერესოა, რომ ღვთაებები ერთმანეთს უნათესავებოდნენ და, შესაბამისად, ერთი წარმომავლობა ჰქონდათ. ქალაქების მმართველთა სტატუსი განსხვავებული იყო, მაგ., ურუქს განაგებდა ენი „მთავარი ქურუმი“, ლაგამს – ენსი „ღვთაების ქონების მმართველი“, ხოლო ურსა და ქიშს მართავდა ლუგალი „მეფე“ (ანუ „დიდი კაცი“), რაც ხაზს უსვამდა მმართველის ადამიანურ თვისებებს. შესაბამისად, უფრო ძლიერად მოსილი მეფეები, რომლებსაც დიდი ძალაუფლება ჰქონდათ, „ლუგალის“ ტიტულს იყენებდნენ. ქალაქის მმართველები ღვთაებების მიერ „ინიშნებოდნენ“.

აღსანიშნავია ქალაქ ურის ერთ-ერთი გამორჩეული მმართველის, **ურ-ნამუს** (ძვ. წ. XXII ს.), საქმიანობა, რომელიც, ძირითადად, ტაძრების მშენებლობითა და არხების გაყვანით იყო დაკავებული. მან ქალაქ ურში ააგო დიდი ზომის **ზიკურათი**, რომელმაც დღემდე მოაღწია. ურ-ნამუმ შექმნა ასევე მსოფლიოში უძველესი კანონთა კრებული, სადაც დაადგინა მოცულობისა (სილა) და წონის (მინა, შეკელი) ზომები, სასჯელი და საფასური სხვადასხვა დანაშაულის შემთხვევაში. ამის გამო, მისი კანონები მიიჩნევა უძველეს კანონებად, ვინაიდან იგი წინ უსწრებდა სხვა ძველადმოსავლურ (ეშუნა, ხამურაბი და სხვ.) კანონებს.

ამ პერიოდში მესოპოტამიის ქალაქებში მეტად განვითარდა მწერლობის კულტურა. ცოდნის გადაცემა ხდებოდა მწიგნობართა „სკოლაში“ (ედუბა, „ფირფიტების სახლი“) მთავარი მწიგნობრის (უმშია) მეთვალყურეობით. მწიგნობრები მოსწავლეებს **ლურსმნულ** ნიშნებსა

და სიტყვებს ასწავლიდნენ, რათა მომავალში ისინი ტექსტების გადამწერები და შემდგენლები გამხდარიყვნენ. სკოლა უკავშირდებოდა ტაძარს, რომელიც სახელმწიფო ადმინისტრაციის ცენტრი იყო. შესაბამისად, სკოლაში სწავლა მხოლოდ მმართველი არისტოკრატის შვილებს შეეძლო.

აქადი – მსოფლიოს უძველესი იმპერია

როგორც სხვა არაერთი მნიშვნელოვანი მოვლენის, მსოფლიოს უძველესი იმპერიების სამშობლოდაც ძველი ახლო აღმოსავლეთი მოიაზრება. ყველაზე ადრეული აქადის იმპერია ძვ. წ. XXIV საუკუნეში შუამდინარეთში შეიქმნა. მისი ჩამოყალიბება უკავშირდება მეფე **სარგონს**. სარგონის მოღვაწეობა შეიძლება ასე დავახასიათოთ:

- ა. შუმერული ქალაქების დამარცხება და სპარსეთის ყურემდე მიღწევა;
- ბ. სავაჭრო მარშრუტების გაფართოება;
- გ. ელამის სამეფოსთან ომის წარმოება, რომელიც მისი ღირსეული მეტოქე იყო.

დღემდე არ არის აღმოჩენილი აქადის იმპერიის დედაქალაქი. იმის მიუხედავად, რომ აქადელებს შუმერებთან ეთნიკური კონფლიქტი არ მოსვლიათ, მათმა არსებობამ ამ მხარეში რადიკალურად შეცვალა საერთო ვითარება: სამეფო წარწერები და ადმინისტრაციული ტექსტები ახლა აქადურად იწერებოდა და არა შუმერულ ენაზე. აქადური იქცა მსოფლიოში პირველ დიპლომატიურ ენად, რომელზეც საერთაშორისო შეხვედრებისას ურთიერთობდნენ.

სარგონის შვილიშვილმა ნარამ-სინმა იმპერია კიდევ უფრო გააფართოვა: მან მოახერხა ევფრატის დელტიდან ლიბანამდე ტერიტორიის დაკავება. მის შემდეგ იმპერია კვლავაც განაგრძობდა არსებობას, თუმცა ტერიტორიულად შემცირდა და დასუსტდა. თითქმის ორი საუკუნის მანძილზე მესოპოტამია გაერთიანებული იყო. ბოლოს კი, აქადის იმპერია დაანგრის ზაგროსის მთებიდან ჩამოსულმა გუთიებმა, რომლებმაც იმპერიაში რესურსების ამონურვისა და აქადის უკანასკნელ მეფეთა დეზორგანიზაციის გამო არსებული კრიზისით ისარგებლეს და შუამდინარეთზე საბოლოოდ დაამყარეს კონტროლი. გუთიების გარდა, მესოპოტამიის ტერიტორიაზე გამოჩნდნენ ხურიტებიც.

ბაბილონი

ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისში შუამდინარეთში დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან ამორეველები და ელამელები შეიჭრნენ, რასაც არსებული პოლიტიკური სურათის მკვეთრი ცვლილება მოჰყვა. ჩამოყალიბდა ახალი სამეფო – ბაბილონი, რომლის გამორჩეული მმართველი წარმომოშობით ამორეველი **სამურაბი** გახდა. მან თითქმის მთელი შუამდინარეთის დაპყრობა და თავისი გავლენის ქვეშ მოქცევა მოახერხა, შეადგინა კანონთა კრებული, რომელიც ყველა დაქვემდებარებული ხალხისთვის საერთო იყო.

1.2 ეგვიპტე

ძვ. წ. IV ათასწლეულის შუა ხანებიდან ეგვიპტეში, ისევე, როგორც მესოპოტამიაში, თემების გაერთიანების პროცესი დაიწყო. ნილოსის ნაპირზე მცხოვრებმა მიწათმოქმედთა თითოეულმა თემმა მდინარის მიმდებარე ტერიტორიის გარკვეული ნაწილი აითვისა და შექმნა დამოუკიდებელი სარწყავი სისტემა, რომელიც მათი სამეურნეო საქმიანობის საფუძველი იყო. დროთა განმავლობაში თითოეული სარწყავი სისტემის ირგვლივ ჩამოყალიბდა საზოგადოება, რომელსაც საკუთარი ტერიტორია ჰქონდა და დამოუკიდებელ სამეურნეო ერთეულს წარმოადგენდა. ასეთ ერთეულს **ნომს** უწოდებენ. ნომის სათავეში მმართველი – **ნომარქი** იდგა. ნომის წევრები ყველა სამეურნეო სამუშაოს კოლექტიურად ასრულებდნენ, არხები გაჰყავდათ და ნათესების დასაცავად მდინარის ჯებირებს ამაგრებდნენ. ნომს ჰქონდა ადგილობრივი მმართველობის ცენტრი, კედლით შემოზღუდული ქალაქი, რომელშიც ნომარქი იჯდა. ქალაქში იყო ადგილობრივი ღვთაების ტაძარი. ნომები საკუთარი საზღვრების გაფართოებას ცდილობდნენ: ერთი ნომი მეორეს იპყრობდა. ასე დაიწყო ნომების გაერთიანების პროცესი.

ძვ. წ. IV ათასწლეულში ეგვიპტეში ორი სამეფო ჩამოყალიბდა. ნილოსის სათავეებთან სამხრეთი, ანუ ზემო, ეგვიპტე მდებარეობდა, ნილოსის დელტაში კი – ჩრდილოეთი, ანუ ქვემო, სამეფო. მოგვიანო პერიოდის ტექსტებიდან ვიგებთ, რომ ეგვიპტის პირველი მეფე იყო **მენესი**, რომელმაც ძვ. წ. IV-III ათასწლეულების მიჯნაზე ზემო და ქვემო ეგვიპტე გააერთიანა და დედაქალაქი **მემფისი** დააარსა. ერთიანი ეგვიპტის მმართველს ფარაონი („დიდი სახლი“) ეწოდა. ძველეგვიპტური წარმოდგენით, ქვეყნის მმართველები ღვთაებებისგან წარმოიშვნენ: ატუმი იყო პირველი ღმერთი, ვინც არაფრისგან შექმნა საკუთარი თავი. შემდგომ მან წარმოშვა დანარჩენი ღვთაებანი. ატუმის შვილთაშვილები კი იყვნენ დედამიწის პირველი ღვთაებები – ისისი, ოსირისი, სეტი და ნეფთისი. ამ ოთხისგან წარმოდგა შემდგომ ყველა ფარაონი, რომლებიც ქვეყანას მართავდნენ. ყველა ფარაონი ღვთაება ჰორის (ოსირისის შვილი) განსხეულებას წარმოადგენდა. შესაბამისად, ძველი ეგვიპტის მმართველობა ცენტრალიზებული თეოკრატიული მონარქია იყო, რადგან ფარაონი ქვეყნის მართვას ღვთაებათა სახელით აწარმოებდა და ადამიანებსა და ღვთაებებს შორის შუამავალს წარმოადგენდა. ქვეყანაში წესრიგი როგორც პოლიტიკურ, ისე სოციალურ და ეკონომიკურ სფეროში რელიგიას ეფუძნებოდა.

ფარაონი ერთპიროვნულად განაგებდა სახელმწიფოს, სამიწათმოქმედო და სამშენებლო საქმიანობის შესახებაც ბრძანებებს თავად გასცემდა. ფარაონს იერარქიულად ექვემდებარებოდნენ მრჩეველები, ტაძრის მსახურები და ადმინისტრაცია – მოხელეები, რომლებიც სახელმწიფო საქმეებსა და ხალხის კეთილდღეობაზე იყვნენ პასუხისმგებელი. ისინი ფარაონს სახელმწიფოს მართვაში ეხმარებოდნენ. უმაღლეს თანამდებობებზე, ძირითადად, ფარაონის ოჯახის წევრები ინიშნებოდნენ. სახელმწიფოში ცალკეულ მხარეებსაც მოხელეები – ნომარქები განაგებდნენ. მათ ევალეობდათ საკუთარი ნომის ტერიტორიაზე მდებარე სარწყავი სისტემის წესრიგში მოყვანა, მოსახლეობის აღრიცხვა, გადასახადების აკრეფა და ომების დროს განსაზღვრული რაოდენობის მებრძოლის გამოყვანა. თუ თავიდან ნომარქის ძალაუფლება მემკვიდრეობითი იყო, შემდეგ ფარაონებმა ეს წესი შეცვალეს და ნომარქებს თავად ნიშნავდნენ. ფარაონს შეეძლო, ერთი ნომიდან მეორეში გადაეყვანა ნომარქი ან გადაეყენებინა და მის ადგილას სხვა დაენიშნა.

ეგვიპტურ საზოგადოებაში სამოხელეო აპარატიდან განსაკუთრებული ადგილი ეჭირათ მწერლებს, ანუ გადამწერებს. ისინი აღრიცხავდნენ გადასახადებს, ფარაონის, ქურუმებისა და სხვა მოხელეების მოთხოვნით ადგენდნენ სხვადასხვა შინაარსის ტექსტებს.

ძველეგვიპტურ საზოგადოებაში დიდი გავლენით სარგებლობდნენ ქურუმები. ეგვიპტეში მრავალმერთიანობა იყო. ყველა სფეროს თავისი მფარველი ღვთაება ჰყავდა, ყოველ ღვთაებას თავისი ტაძარი ჰქონდა.

სამართალს ეგვიპტეში ტაძართან არსებული სასამართლო – ქურუმთა საბჭო განაგებდა. იგი ყველა ტაძარში არსებობდა და მთავარ მოხელეს ემორჩილებოდა. დროთა განმავლობაში ქურუმთა გავლენა კიდევ უფრო გაიზარდა.

ისტორიკოსები ეგვიპტის ისტორიას სამ ძირითად პერიოდად ყოფენ, მმართველ დინასტიებს კი რომაული ციფრებით აღნიშნავენ. ეგვიპტის სახელმწიფომ დიდხანს იარსება. ამ ხნის განმავლობაში **33 სამეფო დინასტია** შეიცვალა.

III – VI დინასტიების მმართველობის პერიოდი, დაახლოებით, ძვ. წ. 2600 – 2150 წწ., ძველი ეგვიპტის განსაკუთრებული ძლიერების, „აყვავების ხანა“ იყო, რომელსაც „**პირამიდების ეპოქას**“ უწოდებენ. სწორედ ამ ეპოქის ფარაონებმა დაიწყეს პირამიდების მშენებლობა. შემდგომ პერიოდში შედარებით მომცრო ზომის პირამიდებს აშენებდნენ, რადგან ხაზინა გრანდიოზულ მშენებლობებს ვეღარ აფინანსებდა.

ძველი სამეფოს პერიოდის ერთ-ერთი პირველი გამორჩეული მმართველი გახლდათ **ჯოსერი**. მის სახელზე აგებული ე. წ. „საფეხურებიანი პირამიდა“ პირველი დიდი ქვის ნაგებობაა ეგვიპტეში, ვინაიდან მანამდე სამშენებლო მასალად მხოლოდ ხეს იყენებდნენ. ცნობილია ამ პირამიდის არქიტექტორის სახელიც – **იმჰოტეპი**. ძველი სამეფოს ხანას განეკუთვნება ფარაონ **ხეოფსის** პირამიდაც, რომელიც მსოფლიოს შვიდი საოცრების სიაშია შესული.

დაახლოებით, ძვ. წ. III ათასწლეულის დასასრულს დაიწყო ძველი სამეფოს დაცემა. შინაომები თითქმის ორ საუკუნეს გაგრძელდა.

ძვ. წ. XX – XVIII სს.-ში ერთიანი, ძლიერი სამეფო კვლავ აღდგა. ამ პერიოდს შუა სამეფოს ხანას ეძახიან. ფარაონებმა დედაქალაქი **მემფისიდან თებეში** გადაიტანეს. მიმდებარე ველები კი საკუთარი აკლდამების ასაშენებლად გამოყვეს. თებეს მახლობლად ააშენეს ლუქსორისა და კარნაკის ტაძრები.

ძვ. წ. XVII – XVI სს.-ში შუა სამეფო დაეცა აღმოსავლეთიდან შემოჭრილი აზიური მომთაბარე სემიტური მოდგმის ტომების **ჰიქსოსების** გამო. მათი სამხედრო განვითარება ეგვიპტელებისას აღემატებოდა. ცხენი, სწრაფი საბრძოლო ეტლები და მშვილდ-ისარი ეგვიპტისთვის მანამდე უცნობი იყო.

ძვ. წ. XVI საუკუნეში თებეს ეგვიპტელებმა ჰიქსოსები განდევნეს. ეგვიპტის ერთიანობა აღდგა. ამ პერიოდს ახალი სამეფოს ხანას უწოდებენ. ეგვიპტე ახლო აღმოსავლეთის უძლიერეს სახელმწიფოდ გადაიქცა. **თუტმოს III-ის** (ძვ. წ. 1390 – 1353) არმია და ფლოტი ყოველწლიურად აზიაში დიდ ლაშქრობებს აწყობდა.

რელიგიური რეფორმა ამენჰოტეპ IV-ის დროს

ახალი სამეფოს პერიოდში, XVIII დინასტიის ფარაონმა ამენჰოტეპ IV-მ (ძვ. წ. 1353 – 1336) რელიგიური რეფორმა ჩაატარა. რეფორმის არსი ძველი სამყაროსთვის უჩვეულო იყო. ფარაონმა და მისმა მეუღლემ ნეფერტიტიმ გადანყვიტეს, ერთი ღმერთის თაყვანისცემა დაენესებინათ. ფარაონმა უარყო ყველა ეგვიპტური ღმერთი და მათი სახელის ხსენებაც კი აკრძალა. ღმერთე-

ბის მსახურება შეწყდა, ტაძრები დაიხურა. ერთადერთ ღმერთად ღვთაება **ატონი** გამოცხადდა, რომელსაც მზის დისკოს სახით გამოსახავდნენ და შეესაბამებოდა მზის ღვთაებას – რას.

ფარაონმა ყველა ძველი ღმერთის სახელისა და ზოგან გამოსახულების ნაშლაც კი ბრძანა. ახალი ღმერთის პატივსაცემად ფარაონმა სახელი შეიცვალა და **ეხნატონი** (იგივე – ახენატენი) დაირქვა. ასევე ააშენა ახალი დედაქალაქი – **ახეტატონი**, რომელიც ამარნას სახელითაა ცნობილი. მთელ ეგვიპტეში დაიწყეს ატონის ტაძრების აგება. ამ ტაძრებს ფარაონმა გადასცა ვრცელი მიწები. თავდაპირველად ატონის უმაღლესი ქურუმი თავად ეხნატონი გახდა, მაგრამ შემდეგ ეს ფუნქცია თავის დაახლოებულ პირს – მერირას გადასცა. ძველი ქურუმთა წრე ღვთაება ატონის ქურუმებმა ჩაანაცვლეს. ძირითადად, სწორედ ისინი წარმოადგენდნენ ფარაონის დასაყრდენ ფენას.

ეხნატონის რეფორმები დროებითი აღმოჩნდა. მისი გარდაცვალების შემდეგ ქურუმებმა ძველი ღმერთების კულტი აღადგინეს. მათი ბრძანებით ეხნატონისა და ნეფერტიტის სახელები ეგვიპტეში ისევე იღვენებოდა, როგორც მანამდე თავად ისინი დევნიდნენ ეგვიპტურ ღმერთებს. ფარაონის ქანდაკებები გაანადგურეს, მისი სახელი ფარაონთა სიიდან ამოშალეს და „მტრად“ და „ბოროტმოქმედად“ მოიხსენიებდნენ. ეხნატონის რეფორმა ისტორიაში მონოთეიზმის (ერთღმერთიანობის) შემოღების პირველი, წარუმატებელი მცდელობა იყო.

1.3 „სამხედრო სახელმწიფოები“. ასურეთი. ეგვიპტისა და ხეთების დაპირისპირება – კაღუშის ზავი

ძვ. წ. II ათასწლეულში ახლო აღმოსავლეთში ახალი სახელმწიფოები წარმოიშვა. ზოგიერთი ისტორიკოსი მათ „სამხედრო სახელმწიფოებსაც“ უწოდებს, რადგან მუდმივად ომებს აწარმოებდნენ. ასეთები იყო ხეთების, მითანის, ასურეთის სახელმწიფოები.

ასურეთი

ასურელები მდინარე ტიგროსის შუა და ზემო წელზე ცხოვრობდნენ. ბუნებრივი საზღვრების (ზღვებისა და ქედების) არქონის გამო საკუთარი ტერიტორიის შესანარჩუნებლად გამუდმებით ბრძოლა უწევდათ, ამიტომ ისინი მეომარ ხალხად ჩამოყალიბდნენ და სახელმწიფოც საომარ ყაიდაზე იყო მოწყობილი. ძვ. წ. XV-XIV საუკუნეებში ასურელებმა სახელმწიფო შექმნეს და მეზობელ მითანსა და ხეთების სამეფოს შეუტიეს. ასურეთის ტერიტორიაზე გადიოდა ძირითადი სავაჭრო მარშრუტები, ამიტომ ასურელებმა სავაჭრო ასპარეზზე იმთავითვე მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავეს. ასურეთის ტერიტორია განსაკუთრებით ტიგლათფილესარ I-ის მეფობის (ძვ. წ. 1115 – 1077 წწ.) დროს გაიზარდა.

ისინი პოლიტიკური, სამხედრო და ეკონომიკური უპირატესობისთვის იბრძოდნენ. ხეთებს, ასურელებს, ბაბილონელებს, ხურიტებსა და ეგვიპტეს შორის ბრძოლები მიმდინარეობდა ტერიტორიების გაფართოებისა და ძალაუფლების განმტკიცებისთვის.

კადემის ბრძოლა

ლურსმნულ ტექსტებში გადმოცემულია არაერთი შეტაკების ამბავი, რომელთაგან გამორჩეულია ძვ. წ. XIII საუკუნეში ხეთებსა და ეგვიპტეს შორის თანამედროვე სირიის ტერიტორიაზე, **ქალაქ კადემთან**, წარმოებული დიდმასშტაბიანი ბრძოლა. ეგვიპტისა და ხეთების დაპირისპირების ისტორია იმ დროიდან იწყება, როცა ხეთების სამეფომ გაძლიერება დაიწყო, მთელი მცირე აზიის ტერიტორია მოიცვა, აღმოსავლეთით ხურიტები შეავიწროვა, სამხრეთით კი სირიის ტერიტორიის ათვისება დაიწყო. იმ დროს სირიაში მყარად ჰქონდა ფეხი მოკიდებული ეგვიპტეს და პოზიციების დათმობას არ აპირებდა. შესაბამისად, სირიაში ხეთების გავლენის გაზრდას ეგვიპტესთან დაპირისპირება მოჰყვა. გადამწყვეტი ბრძოლა მათ შორის ძვ. წ. 1274 წელს სირიის ქალაქ კადემთან გაიმართა. ბრძოლაში გამარჯვება არც ერთ მხარეს არ დარჩენია. როცა წარმატების მიღწევის იმედი გადაეწურათ, მხარეებმა შექმნილი ვითარება გააცნობიერეს და საომარი მოქმედებების შეწყვეტა და ურთიერთდათმობებზე წასვლა გადაწყვიტეს. XIX დინასტიის ფარაონმა **რამსეს II-მ** და ხეთების მეფე **ხათუსილი III-მ** სამშვიდობო ზავი დადეს.

სამშვიდობო და მეგობრული ხელშეკრულების ინიციატივა ხეთების მეფეს ეკუთვნოდა. ხელშეკრულების დადებას წინ უძღოდა ხანგრძლივი მოსამზადებელი მოლაპარაკებები, რის შემდეგაც ხათუსილი III-მ რამსესს ხელშეკრულების პროექტი გაუგზავნა. ხელშეკრულება ვერცხლის დაფაზე იყო ამოკვეთილი. დაფის წინა მხარეს ჭექა-ქუხილის ღმერთის – თემუზის გვერდით მდგარი მეფის გამოსახულება ამკობდა, მეორე მხარეს კი მზის ქალღმერთთან – არინიტთან ერთად დედოფალი იყო გამოსახული. რამსესმა შეთავაზებული ზავის პირობები მიიღო და თანხმობის ნიშნად ასევე გაუგზავნა ვერცხლის დაფა, რომელზეც იმავე ზავის პირობები ეწერა. ორივე პირი სახელმწიფო ბეჭდითა და მეფეების ხელმოწერებით იყო დამტკიცებული. ზავი სამი რედაქციით შემორჩა: ორი ეგვიპტური და ერთი ხეთური (აღმოჩენილი ხათუსაში).

კადემის ბრძოლის შემდეგ შინ დაბრუნებულმა ფარაონმა უდიდესი გამარჯვების შესახებ ამცნო თავის ქვეშევრდომებს. სინამდვილეში, რამსეს II-მ დიდი ძალისხმევით, თავდადებისა და გამირობის ხარჯზე შეძლო საკუთარი არმიის სამშვიდობოზე გამოყვანა. კადემის ბრძოლის შედეგი ეგვიპტელებისთვის სინამდვილეში სრული მარცხისგან თავის დაღწევა იყო. ფარაონს შესაძლებლობა მიეცა, წაგებული ომი დიდ გამარჯვებად წარმოეჩინა, ხოლო საკუთარი თავი ხეთებთან ბრძოლაში გამარჯვებულად გამოეცხადებინა და ამაში ეგვიპტის საზოგადოებაც დაერწმუნებინა. თავის მხრივ, ხეთების გამარჯვებაც უფრო პიროსის გამარჯვებას ჰგავდა. მათ რეალურად შეაფასეს საკუთარი შესაძლებლობები და საკმარისად შორსმჭვრეტელები გამოდგნენ იმისთვის, რომ სწორად განესაზღვრათ ეგვიპტელებთან მშვიდობისა და კავშირის ფასი. მეცნიერები დღემდე არ შეთანხმებულან კადემის ბრძოლის შედეგების შესახებ: ზოგიერთის აზრით, ეგვიპტელებმა გაიმარჯვეს. ზოგი ფიქრობს, რომ მხარეებმა თანაბრად იგემეს წარმატებაცა და წარუმატებლობაც. ზოგის შეხედულებით კი, ეგვიპტელები დამარცხდნენ, ხოლო ეგვიპტური წერილობითი წყაროების ცნობები პროპაგანდისტულ მიზნებს ემსახურებოდა.

1.4 დიაოხი და კოლხა

ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლოს ქართველურმა ტომებმა შექმნეს პირველი სახელმწიფოებრივი გაერთიანებები – დიაოხი და კოლხა. მათ ძველი აღმოსავლური წყაროები ახსენებენ. ძველ ტექსტებში გვხვდება ერთი და იმავე გაერთიანების ორი სახელწოდება: დაიაენი (ძვ. წ. XII საუკუნისა და ძვ. წ. IX - VIII საუკუნეების ასურული ტექსტებიდან) და დიაუხი (ძვ. წ. VIII საუკუნის ურარტული ტექსტებიდან). მეცნიერები ფიქრობენ, რომ ორივე ერთსა და იმავე ხალხს აღნიშნავს – ტაოს ხალხს, იგივე ტაოელებს.

ასურეთის მეფე ტიგლათფილესარ I თავის წარწერაში მოგვითხრობს ასურელთა გალაშქრებაზე „ნაირის ქვეყნების“ წინააღმდეგ. ასურელები „ნაირის“ მათი ქვეყნის ჩრდილოეთით მდებარე ვრცელ მიწა-წყალს ეძახდნენ. სხვა დატყვევებულ მეფეთა შორის ამ წარწერაში იხსენიება დაიენის (დიაოხის, ტაოხის) მეფე სიენი.

ძვ. წ. XII ს.-ის დასასრულიდან ასურული წყაროები დაიაენს აღარ იხსენიებენ, რაც ასურეთის დასუსტებასთან უნდა იყოს დაკავშირებული. ამ პერიოდში ასურელი მეფეები თავად იცავდნენ თავს არამეელებისგან და ვეღარ ახერხებდნენ ჩრდილოეთისკენ შორეული სამხედრო ლაშქრობების მოწყობას. მხოლოდ ძვ. წ. IX ს.-იდან ხელახლა გაძლიერებული ასურეთი კვლავ იწყებს დაპყრობით საგარეო პოლიტიკას ნაირის ქვეყნების წინააღმდეგ, რაც ასახულია კიდევ ასურულ წერილობით წყაროებში. ძვ. წ. IX ს.-ში ვანისა და ურმიის ტბების მიდამოებში, ჩამოყალიბდა ურარტუს სახელმწიფო, რომელიც მეზობლების მიმართ ასევე ექსპანსიურ პოლიტიკას ატარებდა. შესაბამისად, დაიაენის მდგომარეობა გართულდა. ურარტუს მეფეები მენუა (ძვ. წ. 819-786 წწ.) და მისი ძე არგიშთი (ძვ. წ. 786-764 წწ.) მოგვითხრობენ თავის ძღვევამოსილ ლაშქრობაზე დიაოხის წინააღმდეგ.

როგორ განვითარდა ურარტუსა და დიაოხის შემდგომი ურთიერთობა, უცნობია. ისტორიოგრაფიაში მიღებულია მოსაზრება, რომ დიაოხი ურარტუსთან ბრძოლაში განადგურდა, რადგან ძვ. წ. VIII საუკუნიდან ძველამოსავლურ წყაროებში ცნობები დიაუხის შესახებ აღარ მოგვეპოვება. დიაუხისა და მისი მეზობელი ტომების სახელები მესხეთის მიწა-წყალს შემორჩა. ესენია: დიაოხი – ტაო, ზაბახა – ჯავახეთი, უიტერუხი – ოძრხე (სამცხის ძველი სახელწოდება და ამავე სახელის ციხე დღევანდელ აბასთუმანთან), ქათარზა – კლარჯეთი და სხვ.

კოლხას შესახებ ძალიან ცოტა ინფორმაცია მოგვეპოვება. იგი, სავარაუდოდ, დიაუხის დასავლეთით მდებარეობდა და მის შესახებ ცნობები ურარტუს მეფის სარდური II-ის (ძვ. წ. 764 – 735 წწ.) მმართველობის პერიოდიდან ჩნდება. მეცნიერები ძვ. წ. XII ს.-ში ტიგლათფილესარ I-ის ტექსტში ნახსენებ ტოპონიმ კილხის კოლხასთან აიგივებენ. ფიქრობენ, რომ კოლხა მოგვიანო პერიოდის ბერძნული წყაროების კოლხეთის სამეფო უნდა ყოფილიყო. სარდური II-მ რამდენჯერმე ილაშქრა კოლხას ქვეყნის წინააღმდეგ. სარდური ახსენებს კულხას სამეფო ქალაქ ილდამუშას, რომელსაც არტანუჯთან (თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე) აიგივებენ.

1.5 აქემენიანური სპარსეთი

მრავალრიცხოვანი ირანულენოვანი ტომები სამხრეთ-დასავლეთ აზიაში ცხოვრობდნენ. მათ რიცხვს მიეკუთვნებოდნენ მიდიელები, სპარსელები, პართიელები, ბაქტრიელები და სხვ. ძვ. წ. VII საუკუნეში ირანულენოვან ტომებს შორის დანინაურდნენ მიდიელები და სახელმწიფო შექმნეს. მათ მოახერხეს სხვა ირანული ტომებისა და მხარეების დაპყრობა, მათ შორის, სპარსეთის სამეფოსიც, რომლის სათავეში აქემენიანთა საგვარეულო იდგა. სპარსელები ხარკს უხდიდნენ მიდიის მეფეს, რომელიც „მეფეთ მეფის“ ტიტულს ატარებდა.

კიროს II დიდი

ძვ. წ. 553 წელს მიდიის წინააღმდეგ აჯანყება დაიწყო სპარსეთის მეფე კიროს II-მ (ძვ. წ. 558 – 530). ბრძოლაში სამ წელიწადს გასტანა და სპარსელთა გამარჯვებით დასრულდა. ძვ. წ. 550 წელს კიროსმა აიღო მიდიის დედაქალაქი ეკბატანა და თავი სპარსეთისა და მიდიის მეფედ გამოაცხადა. კიროსმა დაპყრობები გააგრძელა და მომდევნო ორი წლის განმავლობაში დაიკავა პართია და ჰირკანია – მანამდე მიდიის შემადგენლობაში მყოფი ირანული ოლქები.

ძვ. წ. 547-46 წლებში კიროსმა მცირე აზიისკენ გაილაშქრა. მცირე აზიაში ლაშქრობების დროს კიროსს მიემხრო ერთ-ერთი სამეფო – კილიკია და სამხედრო დახმარებაც კი შესთავაზა. ამის გამო კიროსს არასდროს გაუგზავნია კილიკიაში სპარსელი მმართველები, განსხვავებით სხვა ქვეყნებისგან, რომლებიც წინააღმდეგობას უწევდნენ.

იმ დროს მცირე აზიაში გამორჩეული ადგილი ეჭირა ლიდიის სამეფოს. მისი მფარველობის ქვეშ იყვნენ სანაპიროზე მდებარე ბერძნული ქალაქები. კიროსმა ლიდიის დედაქალაქის – სარდეს – ალების შემდეგ იქ სპარსელი მმართველი დანიშნა და მცირე აზიის ბერძნული ქალაქებისკენ გაემართა. ქალაქების ნაწილი სპარსელებს საკუთარი ნება-სურვილით დამორჩილდა, ნაწილი კი ბრძოლის შედეგად დაიპყრეს.

ძვ. წ. 539 წელს კიროსმა ბაბილონი დაიკავა. კიროს II დიდისთვის წინააღმდეგობა არ გაუწევიათ ბაბილონის მცხოვრებლებსაც. მან ბაბილონის მთავარ ღვთაებას – მარდუქს – ტაძარში მსხვერპლი შესწირა და ქალაქის მცხოვრებლებს მშვიდობასა და ხელშეუხებლობას შეჰპირდა. ასევე, იმ მოსახლეობას, რომელიც ბაბილონის მეფეების მიერ იძულებით იყო შუამდინარეთში გადმოსახლებული, ნება დართო, საკუთარ სამშობლოში დაბრუნებულიყო. კიროსმა ფორმალურად შეინარჩუნა ბაბილონის სამეფო. მისი მმართველობა ბაბილონში უცხოელთა ბატონობად არ მიუღიათ, რადგან მან მეფობა „მარდუქის ხელიდან“ მიიღო და ყველა რიტუალი შეასრულა, მაგრამ სინამდვილეში ბაბილონი აქემენიანთა ერთ-ერთ ოლქად გადაიქცა და საგარეო პოლიტიკაში ყოველგვარი დამოუკიდებლობა დაკარგა. უმაღლესი სამხედრო და ადმინისტრაციული ხელისუფლება სპარსელი მოხელის ხელში იყო მოქცეული. ბაბილონის დამორჩილების შემდეგ დასავლეთით მდებარე ქვეყნები – სირია, პალესტინა და ფინიკია – ეგვიპტის საზღვრამდე სპარსელებს დაექვემდებარა. ამის შემდეგ კიროსმა გადამწყვიტა, საზღვრები უკვე სახელმწიფოს ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან გაემარგებინა, რათა შუა აზიიდან მომთაბარე ტომები – მასაგეტები – არ შემოჭრილიყვნენ. ძვ. წ. 530 მან შუა აზიაში ილაშქრა, მაგრამ მდინარე ამუდარიის სანაპიროზე მომთაბარებებთან ბრძოლაში

დაიღუპა. ამგვარად, კიროს II დიდის დაპყრობების შედეგად შეიქმნა ახალი დიდი სახელმწიფო, რომელსაც, სამეფო საგვარეულოს მიხედვით, აქემენიანთა სპარსეთს უწოდებენ.

აქემენიანთა იმპერიის შემადგენლობაში ქართული ტომების ნაწილიც მოექცა. თანამედროვე საქართველოს სამხრეთ-დასავლეთით მცხოვრები სასპერები, მოსხები, ტიბარენები, მოსინიკები, მაკრონები, მარები სპარსეთის XVIII და XIX სატრაპიებში იყვნენ გაერთიანებული. ჰეროდოტეს ცნობით, ქართველი ტომებიდან კოლხები სატრაპიის შემადგენლობაში არ შედიოდნენ, მაგრამ საკუთარი ნება-სურვილით იხდიდნენ ყოველ მეხუთე წელს ხარკს: 100 ყრმასა და 100 ქალწულს.

კამბისე

ძვ. წ. 530 წელს ტახტზე ავიდა კიროსის მემკვიდრე კამბისე. მან ეგვიპტეზე გაილაშქრა. ძვ. წ. 525 წელს ეგვიპტელთა არმია სპარსელებთან ბრძოლაში დამარცხდა და ეგვიპტეც აქემენიანთა სახელმწიფოს შემადგენლობაში შევიდა. კამბისემ ფარაონის ტიტული მიიღო და ეგვიპტის მეფედ ყველა წესის დაცვით ეკურთხა. კამბისე მამის პოლიტიკის გამგრძელებელი იყო, ამიტომ ეგვიპტელებს რელიგიურ და პირად ცხოვრებაში თავისუფლება შეუნარჩუნა, სახელმწიფო აპარატშიც ეგვიპტელი მოხელეები მსახურობდნენ. ძვ. წ. 522 წელს სპარსეთში აჯანყება დაიწყო და კამბისეც სამშობლოსკენ გაეშურა, თუმცა გზაში შეთქმულებმა მოკლეს.

დარიოს I

კამბისეს შემდგომ აქემენიანთა სპარსეთის მეფე გახდა დარიოს I (ძვ. წ. 522 – 486). მეფობის პირველ ორ წელს (ძვ. წ. 522-521) დარიოსი მთელ იმპერიაში მოდებული აჯანყებების ჩაქრობას მოუწდა.

აჯანყებამ ცხადყო, რომ იმპერიაში ძალაუფლება მყარი არ იყო და განმტკიცება სჭირდებოდა. კიროსისა და კამბისეს დროს დაპყრობილ ქვეყნებში ადგილობრივი მმართველობის სისტემები შენარჩუნებული იყო. დარიოს I-მა აჯანყების ჩახშობის შემდეგ რეფორმების გატარება დაიწყო. მისი მიზანი ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერება და ადგილობრივი მმართველობის ახალი სისტემის შექმნა იყო.

დარიოს I-მა მოანესრიგა სახელმწიფოს ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ერთეულებად – **სატრაპიებად** დაყოფის საკითხი და მათი საზღვრები ძველი ქვეყნების სახელმწიფო და ეთნოგრაფიულ საზღვრებში (მაგ., ეგვიპტის, მიდიის, ელამისა და ა. შ.) მოაქცია. დარიოს I-ის მმართველობის პერიოდში აქემენიანურ სპარსეთში 20 სატრაპია იყო. სატრაპიის ფარგლებში დაშვებული იყო ისეთი შემთხვევებიც, როცა ესა თუ ის ქალაქი თვითმმართველობას, ავტონომიას ინარჩუნებდა (მაგ., ფინიკიური ქალაქები, ბერძნული ქალაქების ნაწილი). ასეთი ქალაქების საშინაო საქმეებში სპარსელები არ ერეოდნენ და ისინიც აქემენიანთა მომხრეებად რჩებოდნენ. სატრაპიის სათავეში მეფის მოხელეები – **სატრაპები** – იდგნენ. სატრაპის თანამდებობა კიროსისა და კამბისეს დროსაც არსებობდა და ის ადგილობრივი მმართველის

ფუნქციას ასრულებდა, რომელიც ოლქში ერთდროულად უმაღლესი სამოქალაქო და სამხედრო პირი იყო. სატრაპები, ძირითადად, ადგილობრივი წარჩინებულები იყვნენ. დარიოსის რეფორმის შედეგად კი სატრაპებად სპარსელები ინიშნებოდნენ; ამას გარდა, სატრაპის ძალაუფლება შეიზღუდა; ერთმანეთისგან გაიმიჯნა სამოქალაქო და სამხედრო ხელისუფლება. სატრაპს ადგილზე უმაღლესი სამოქალაქო და სასამართლო ხელისუფლება ჰქონდა, კრეფდა გადასახადებს; სამხედრო ხელისუფლება კი მხედართმთავარს გადაეცა, რომელსაც მეფე პირადად ნიშნავდა. სატრაპები და მხედართმთავრები უშუალოდ ცენტრალურ ხელისუფლებაზე იყვნენ დამოკიდებული, მათ მუდმივად ამონმებდა საიდუმლო პოლიცია. სატრაპები, თავის მხრივ, ოლქებად იყოფოდა. სპარსელები მხარეებსაც უტოვებდნენ გარკვეულ ავტონომიურობას – საკუთარ ენას, რელიგიას, ტრადიციებს. მათ საშუალებას აძლევდნენ, აღედგინათ ომის დროს დანგრეული ტაძრები. ერთადერთი, რაც ამ ხალხებს აერთიანებდა, იმპერია იყო. ისინი ერთიან ხელისუფალსა და სპარსელების უპირატესობას აღიარებდნენ.

დარიოსის რეფორმის შედეგად შეიქმნა დიდი ბიუროკრატიული აპარატი, რომელიც სამეფო კანცელარიიდან იმართებოდა. მეფის რეზიდენცია პერსეპოლისში იყო, მაგრამ სახელმწიფოს ადმინისტრაციულ ცენტრს ქალაქი სუზა წარმოადგენდა. სუზის გარდა, სხვა დიდ ქალაქებშიც – ბაბილონში, ეკატანაში, მემფისსა და სხვა სატრაპიების დედაქალაქებშიც არსებობდა კანცელარიები, სადაც სახელმწიფო მოხელეები ისხდნენ. მწერალთა უზარმაზარი შტატი ოფიციალურ დოკუმენტებს იწერდა. ყველა მოხელეს თვალყურს ადევნებდა უმაღლესი მოხელე – **საზარაპეტი**, რომელსაც იმავდროულად მეფის პირადი გვარდია – **„ათი ათასი უკვდავიც“** – ემორჩილებოდა (გვარდია ამგვარად იმიტომ იწოდებოდა, რომ მათი რაოდენობა უცვლელი იყო. რომელიმე მეომრის დაღუპვის შემთხვევაში მის ადგილზე სწრაფად აყენებდნენ სხვა გამოცდილ მეომარს).

დარიოსმა ეკონომიკური რეფორმებიც გაატარა. მან იმპერიაში ფულის საერთო ერთეული შემოიღო. ეს იყო ოქროს „დარიკი“. ასევე იჭრებოდა ვერცხლის „სიკლი“, „დარიკის“ მოჭრა მხოლოდ მეფეს შეეძლო, „სიკლს“ კი სატრაპიებში (ძირითადად, მცირე აზიაში) ჭრიდნენ. ვაჭრობისა და კომუნიკაციის განსავითარებლად დარიოსმა მოანესრიგა გზები, შექმნა მუდმივი საფოსტო სადგურები, რომლებიც ინფორმაციის სწრაფ გავრცელების საშუალებას იძლეოდა და იმპერიის თვით ყველაზე შორეული პროვინციებიც კი აღარ რჩებოდა იზოლაციაში.

დარიოსმა შემოიღო საერთო-სახელმწიფო საგადასახადო სისტემა. მას შემდეგ, რაც დადგინდა სატრაპიებში მოსახლეობის შემადგენლობა, გადასახადებიც მკაცრად განისაზღვრა.

იმპერიაში ცხოვრობდნენ მდიდარი სავაჭრო ტრადიციების მქონე ხალხებიც, ამას გარდა, სახელმწიფოს ტერიტორიაზე მნიშვნელოვანი საქარავნო-სავაჭრო გზები გადიოდა, შესაბამისად, ვაჭრობამ იმპერიის სამეურნეო ცხოვრებაში დიდი როლი დაიკავა. სპარსელები არა მარტო სახმელეთო, არამედ საზღვაო ვაჭრობის განვითარებაზეც ზრუნავდნენ. იმპერიის მასშტაბით დაიწყო გრანდიოზული მშენებლობები. აღადგინეს ძველი არხი, რომელიც, დაახლოებით, ძვ. წ. 1300 წელს ეგვიპტის ფარაონმა, სეთი I-მა გაჭრა. ეს არხი ნილოსს წითელ ზღვასთან აკავშირებდა. იგებოდა გზები, მათ შორის უმნიშვნელოვანესი იყო სამეფო გზა, რომელიც სუზას ლიდიის დედაქალაქთან, სარდესთან აკავშირებდა.

აქემენიანთა სახელმწიფოში ოფიციალური ენა სამი იყო – ძველსპარსული, ელამური და ბაბილონური, მაგრამ ადმინისტრაციის, სავაჭრო და საერთაშორისო ურთიერთობისთვის

არამეული იხმარებოდა, რადგან არამეული ენა ძვ. წ. I ათასწლეულში ახლო აღმოსავლეთში ყველაზე გავრცელებული ენა იყო.

აქემენიანურ სპარსეთში რამდენიმე დედაქალაქი იყო – თავდაპირველად ეკატანა (მიდიის დედაქალაქი), რომელიც შემდგომში საზაფხულო რეზიდენცია გახდა, ბაბილონი და საკუთრივ სპარსული ქალაქები: სუზა, სადაც ყველაზე ხშირად იკრიბებოდა სამეფო კარი, პასარგადა, სადაც ქურუმები მეფედ კურთხევის ცერემონიალს მართავდნენ, პერსეპოლისი, დედაქალაქი დღესასწაულებისა და ცერემონიებისთვის, სადაც წელიწადში ერთხელ მაინც იმართებოდა გრანდიოზული ხალხთა მსვლელობა და იმპერიის ყველა კუთხიდან ჩამოდიოდნენ.

ქსერქსე

რელიგიური რეფორმა – დარიოს I-ის გარდაცვალების შემდეგ სახელმწიფოს სათავეში მისი მემკვიდრე ქსერქსე I (ძვ. წ. 486 – 465წ.) ჩაუდგა. საგარეო პოლიტიკაში მან აქემენიანთა ტრადიციული კურსი გააგრძელა (დარიოსის დროს დაიწყო და შემდეგ ქსერქსეს მეფობისას გაგრძელდა სპარსელებისა და ბერძნების დაპირისპირება, რომელიც ისტორიაში ბერძნულ-სპარსული ომების სახელითაა ცნობილი). ქსერქსემ სახელმწიფოში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რელიგიური რეფორმა ჩაატარა და ირანელთა საერთო რელიგიად **ზოროასტრიზმი** (მაზდეანობა) გამოაცხადა. მან აკრძალა იმპერიაში მცხოვრები სხვადასხვა ხალხის ადგილობრივი ღვთაებები და კულტები და აჰურა მაზდას სავალდებულო თაყვანისცემა დაანუსა.

2. ბერძნული სამყარო

2.1 ბერძნული კოლონიზაცია

ძველ სამყაროში განსაკუთრებული ადგილი ბერძნებს ეჭირათ. მეცნიერებაში აღიარებულია, რომ ცივილიზაცია, რომელიც მათ შექმნეს, მანამდე არსებული ძველი ცივილიზაციებისაგან ძალიან განსხვავდებოდა. თანამედროვე ევროპულ (დასავლურ) ცივილიზაციას ხშირად ბერძნული ცივილიზაციის მემკვიდრედ მოიხსენიებენ. ბერძნულ სამყაროში, რომელიც ბალკანეთის ნახევარკუნძულსა და ეგეოსის ზღვის კუნძულებს მოიცავდა, ძვ. წ. VIII-VII სს.-ში ჩამოყალიბდა ქალაქ-სახელმწიფოს თავისებური ტიპი, რომელსაც „პოლისს“ უწოდებენ.

თავდაპირველად „პოლისი“ გეოგრაფიულ ტერიტორიას აღნიშნავდა. მხოლოდ მოგვიანებით გახდა ის ქალაქ-სახელმწიფოს სინონიმი. ყოველ პოლისს ჰქონდა საკუთარი მმართველობა, ჰყავდა ჯარი, ჰქონდა ხაზინა, ჭრიდა საკუთარ მონეტას. თითოეულ პოლისში ადგილობრივი, სხვა პოლისებისგან განსხვავებული, კანონები მოქმედებდა. პოლიტიკური ორგანიზების ეს ფორმა ბერძნებს მთელი ანტიკური ხანის განმავლობაში ჰქონდათ. მათ თავიანთი კულტურის აყვავების ხანაში ერთიანი სახელმწიფო არ შეუქმნიათ. პოლისების სიმრავლის მიუხედავად, ბერძნები თავს ერთიანი ბერძნული სამყაროს წევრებად მიიჩნევდნენ, რადგან ჰქონდათ ერთი ენა, თაყვანს სცემდნენ ერთსა და იმავე ღმერთებს და საერთო ბერძნულ რელიგიურ დღესასწაულებზე იკრიბებოდნენ.

თავდაპირველად პოლისები ბალკანეთის ნახევარკუნძულსა და მეზობელ კუნძულებზე გაჩნდა, შემდეგ კი, **ძვ. წ. VIII-VII სს.-დან**, ბერძნებმა ახალი მიწების კოლონიზაცია დაიწყეს. განვითარებისა და მატერიალური კეთილდღეობისთვის ზრუნვამ მათ ახალი ტერიტორიების ძებნა დააწყებინა. „დედა ქალაქების“ – **მეტროპოლიების** მოქალაქეებმა სხვადასხვა ადგილას დასახლება და იქ აპოკიების (ბერძნულად – გადაკარგული ქალაქები), ანუ კოლონიების, დაარსება დაიწყეს. ამის ძირითადი მიზეზები იყო: პოლისებში მიწის სიმცირე; ქალაქებში არსებული უთანხმოებები და ხშირი სამოქალაქო ომები, რომლის დროსაც მოქალაქეები პოლისიდან ახალი, უკეთესი ქალაქის დაარსების სურვილით მიდიოდნენ. ამავე მიზეზით მრავალი გაღარიბებული და ვალეებში ჩაფლული ბერძენიც ტოვებდა სამშობლოს. ამ პროცესს ისტორიაში **„დიდი ბერძნული კოლონიზაცია“** ეწოდება. კოლონიზაცია რამდენიმე მიმართულებით წარიმართა.

როგორი დამოკიდებულება იყო მეტროპოლიასა და კოლონიას შორის? იქ, სადაც კოლონიები ძლიერ სახელმწიფოთა გარემოცვაში ან სულაც მათ ტერიტორიაზე არსდებოდა, ელინური ახალშენები, ბუნებრივია, ვერ გამოირჩეოდნენ პოლიტიკური და სამხედრო აქტივობით და, პირიქით, სადაც ადგილობრივი მოსახლეობა განვითარებისა თუ სახელმწიფო ორგანიზაციის დაბალ საფეხურზე იდგა, ბერძნული კოლონიების ინიციატივას ფართო გასაქანი ეძლეოდა და ისინი აღნიშნულ რეგიონში წამყვან პოლიტიკურ ძალად იქცეოდნენ.

კოლონიებიდან მეტროპოლიებში გაჰქონდათ მარცვლეული, საქონელი, მარილი, ნედლეული (ხეტყე, ლითონი). მეტროპოლიებიდან კი კოლონიებში შემოჰქონდათ ზეთუნის ზე-

თი, ღვინო, სხვადასხვა ხელოსნური ნაწარმი, რასაც კოლონიები თავად არ აწარმოებდნენ. კოლონიები იქცა ბერძნული საქონლის გასაღების ახალ ბაზრად. ბერძნული ახალშენები გაჩნდა შავი ზღვის სანაპიროზეც. თავდაპირველად ბერძნები შავ ზღვას არასტუმართმოყვარედ მოიხსენიებდნენ, მაგრამ უცნობი სამყაროს გაცნობასა და ათვისებასთან ერთად არასტუმართმოყვარე ზღვა სტუმართმოყვარედ გადაიქცა.

კოლონიზაციის ფარგლებში ბერძნებმა აქტიურად დაიწყეს შავიზღვისპირეთის ათვისებაც. დასაწყისში კოლონიები შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე გაჩნდა. ბერძნებმა აქ დააარსეს კერასუნტი, კოტიორა, ტრაპეზუნტი. კოლონიზაციის არეალი უფრო და უფრო ფართოვდებოდა. ახალშენები გაჩნდა აღმოსავლეთ სანაპიროზე, რომელსაც ბერძენი ავტორები – მოგზაურები, გეოგრაფები და ისტორიკოსები – უკვე კოლხეთად მოიხსენიებენ. ამ პერიოდიდან სწორედ ისინი გვანვდიან ცნობებს კოლხეთის შესახებ.

შავი ზღვის სანაპიროზე დაარსებული ბევრი კოლონიისთვის მეტროპოლია იყო მცირე აზიის დასავლეთ სანაპიროზე მდებარე ქალაქი მილეტი. სწორედ მას უკავშირდება კოლხეთის სანაპიროზე ახალშენების დაარსებაც. დღევანდელი საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე არსებული ბერძნული ახალშენებიდან ცნობილია ფაზისი (ფოთის მიდამოებში), გიენოსი (ოჩამჩირე), დიოსკურია (სოხუმი), პიტიუნტი (ბიჭვინთა). იმის მიუხედავად, რომ ამ ქალაქების მიახლოებითი მდებარეობა ცნობილია, ვერ ხერხდება მათი ადგილმდებარეობის ზუსტად გარკვევა. ისინი არქეოლოგიურად შესწავლილი არ არის. შესაძლოა, მათი ნაწილი უკვე სანაპირო ზოლისა და ზღვის ქვეშ არის მოქცეული, ან საერთოდ მოშორებითაა საძებნი. მეორე მხრივ, ქობულეთ-ფიჭვნარის ტერიტორიაზე გათხრილია ისეთი დასახლება, რომელიც წყაროებში მოხსენიებული არ არის.

ბერძნული კოლონიზაციის პერიოდში გაჩნდა პირველი ფული – ლითონის მონეტები. დაახლოებით, ძვ. წ. VI საუკუნიდან ფულის მოჭრა კოლხეთშიც დაიწყო. ეს იყო ვერცხლის მონეტა (ვერცხლი თეთრი ლითონია ამიტომ მეცნიერებმა მას **კოლხური თეთრი** უწოდეს), რომელზეც ერთ მხარეს ადამიანის თავია გამოსახული, მეორეზე კი – ხარის, იშვიათად ლომის.

2.2 პოლისების პოლიტიკური მოწყობა

პოლისებში მმართველობის სხვადასხვა ფორმა არსებობდა: ზოგან დემოკრატია, ზოგან ოლიგარქია, პირველ ეტაპზე ზოგიერთ პოლისში მონარქიაც კი არსებობდა. თავად ბერძნები უკეთესი და იდეალური სახელმწიფოს ძიებაში ბევრს მსჯელობდნენ სახელმწიფოს მოწყობის ფორმებზე. ფილოსოფოსებიდან პირველად პლატონმა (ძვ. წ. 427 – 347) ჩამოაყალიბა თავისი თანამედროვე სახელმწიფო მმართველობის 5 განსხვავებული ტიპი.

არისტოკრატია რჩეულთა, ბრძენთა მმართველობა

ტიმოკრატია პრივილეგირებული უმცირესობის მმართველობა

ოლიგარქია მდიდართა მმართველობა

დემოკრატია ხალხის მმართველობა

ტირანია ერთის მმართველობა

ბერძენმა ფილოსოფოსმა არისტოტელემ (ძვ. წ. 384 – 322) შეისწავლა 158 ბერძნული პოლისის სტრუქტურა, ერთმანეთისგან გამიჯნა მმართველობის დადებითი და უარყოფითი ფორმები და სახელმწიფო წყობის თეორია ჩამოაყალიბა. თავის ტრაქტატში „პოლიტეა“ მან გამოთქვა მოსაზრება, რომ ერთ სახელმწიფოში მმართველობის მუდმივი ფორმა არ არსებობს და მან შეიძლება ცვლილება განიცადოს დადებითიდან უარყოფითი ფორმისკენ.

არისტოტელეს მიხედვით, სახელმწიფოები პირველ რიგში იმით განირჩევიან, თუ ვის ხელშია ძალაუფლება – ერთი პირის, უმცირესობის, თუ უმრავლესობისა. ერთმა პირმა, უმცირესობამ და უმრავლესობამ შესაძლოა მართონ სწორად ან არასწორად. ამის გათვალისწინებით ვიღებთ პოლიტიკური მოწყობის 6 ფორმას: 3 სწორ (მონარქია, არისტოკრატია და პოლიტეა) და 3 არასწორ (ტირანია, ოლიგარქია და დემოკრატია) ფორმას.

სახელმწიფო მმართველობის ფორმები არისტოტელეს მიხედვით

მონარქია – უძველესი, „პირველი და ღვთიური წარმომავლობის“ ფორმაა. არსებობს პატრიარქალური და აბსოლუტური მონარქია. აბსოლუტური მონარქიის დროს ხელისუფალისთვის

არ არსებობს კანონი. იგი თითქოს ღმერთია ადამიანებს შორის, იგი თავად არის კანონი. **არისტოკრატის** დროს ძალაუფლება ღირსეული უმცირესობის ხელშია და ეს წყობილება შესაძლებელია იმ საზოგადოებაში, რომელშიც პირადი ღირსება ფასდება. არისტოკრატის დროს კეთილშობილები მართავენ.

პოლიტეა (რესპუბლიკა) – უმრავლესობის ძალაუფლებაა. რესპუბლიკური საზოგადოება იმ ადამიანებისგან შედგება, რომლებიც ბუნებით მეომარნი არიან, მაგრამ ძალუძთ, ქვეყანა კანონის საფუძველზე მართონ. ამ კანონის თანახმად, უმაღლესი თანამდებობები ღარიბებსაც ერგებათ, თუ ისინი ღირსეულნი არიან.

ოლიგარქია – უმცირესობის ძალაუფლება, გადადის რა ერთი კაცის ხელში, დესპოტურ მმართველობად იქცევა, ხოლო, თუ უმრავლესობის ხელში გადავა, დემოკრატიად იქცევა. სამეფო, მონარქია გადაიქცევა არისტოკრატიად ან პოლიტეად, ის, თავის მხრივ, შესაძლოა, იქცეს ოლიგარქიად, ტირანიად, ტირანია კი – დემოკრატიად.

ტირანია ტირანული ხელისუფლება ვერ თანხმდება ადამიანურ ბუნებასთან. „პატივის ღირსია ის, ვინც ქურდს კი არ მოკლავს, არამედ ტირანს“.

ოლიგარქია, ისევე როგორც, არისტოკრატია, უმცირესობის ძალაუფლებაა, ოღონდ არა ღირსეულთა, არამედ მდიდართა.

დემოკრატია კანონზეა დაფუძნებული. ის „ყველაზე ასატანი ფორმაა პოლიტიკური მოწყობის უარეს ფორმებს შორის“. იგი თავისუფალი და ღარიბი (უღირსი) უმრავლესობის ძალაუფლებაა.

2.3 ათენი – დემოკრატიის სამუშაო

პოლისებს შორის განსაკუთრებული ადგილი ათენს ეკავა, რომელიც ატიკის ოლქში მდებარეობდა. შუა საბერძნეთში მდებარე ატიკის ოლქი ძველთაგანვე საბერძნეთის ცენტრს წარმოადგენდა. ათენმა თანდათან მთელ ატიკაზე მოიპოვა გავლენა. პირველად სწორედ ათენში შემოიღეს „მოქალაქის“ ცნება და ჩაისახა მმართველობის ფორმა – დემოკრატია.

ათენი, ისევე, როგორც სხვა პოლისები, შედგებოდა საკუთრივ ქალაქისა და გარშემო მდებარე ტერიტორიისგან – ხორასგან, რომელსაც სასოფლო-სამეურნეო დანიშნულება ჰქონდა. ხორა დაყოფილი იყო ნაკვეთებად. პოლისის ეს ნაწილები ერთმანეთს ეკონომიკური თვალსაზრისით ავსებდა.

პოლისში ცხოვრობდნენ ქალაქური თემის წევრები – სრულუფლებიანი მოქალაქეები, რომლებსაც ჰქონდათ მინაზე საკუთრებისა და პოლიტიკური უფლებები და დანარჩენი მცხოვრებლები – არამოქალაქეები: ქალები, მონები და უცხოელი თავისუფალი მოქალაქეები, რომლებსაც ატიკის ოლქში მეტოიკებს/მეტეკებს უწოდებდნენ.

მეტოიკები (მეტეკი – ბერძნულად „გადმოსახლებული“) – უცხოელები, რომლებიც ატიკის ოლქში სამუდამოდ ან დროებით დასახლდნენ. ისინი საზოგადოების თავისუფალი, მაგრამ არასრულუფლებიანი წევრები იყვნენ და პოლიტიკური უფლებებით არ სარგებლობდნენ: არ ჰქონდათ უფლება, მონაწილეობა მიეღოთ არჩევნებში, სახელმწიფოს მართვაში, დაეკავებინათ თანამდებობები, ასევე საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში შეენიერათ მსხვერპლი ღმერთებისთვის. მეტოიკებს არ შეეძლოთ შეეძინათ უძრავი ქონება, თუმცა მონებისა და მოძრავი ქონების ფლობის უფლება ჰქონდათ. მეტოიკები არ შედიოდნენ არც **ფილესა** და **ფრატრიაში**, არც გვარში და არც ღემში. მეტოიკებს მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდათ ათენის ეკონომიკურ ცხოვრებაში. ზოგი მათგანი საკმაოდ მდიდარიც იყო. მაგ., ათენში ფარების დამამზადებელი უდიდესი სახელოსნოს მფლობელი ორი მეტოიკი იყო. მეტოიკები პოლისში ცხოვრებისთვის გადასახადს იხდიდნენ.

ფილე – საგვარეულო გაერთიანება, თემი, მოგვიანებით ატიკაში ტერიტორიული ერთეული, რომელიც თემით იყო დასახლებული. **ფრატრია** – რამდენიმე მონათესავე გვარის გაერთიანება, ტომი.

ათენი მცირემიწიანი იყო, რის გამოც ათენელთა უმრავლესობა საკუთარი თავისა და ოჯახების გამოკვებას ვერ ახერხებდა. ისინი ხშირად ვალს იღებდნენ მდიდარი მოქალაქეებისგან, შემდეგ უმრავლესობა ვალს ველარ იხდიდა და სავალო მონობაში ვარდებოდა. რიგითი მოქალაქეები უკმაყოფილო იყვნენ იმითაც, რომ მმართველობა, ძირითადად, წარჩინებული გვარების წარმომადგენლების ხელში იყო. ათენს სათავეში ბასილევსი, ანუ მეფე, ედგა. აღმასრულებელ ხელისუფლებას წარმოადგენდა არქონტთა 9-კაციანი კოლეგია, რომელსაც **არეოპაგი**, ანუ არისტოკრატთა საბჭო, ირჩევდა.

არეოპაგი – ათენის უძველესი სახელმწიფოებრივი ინსტიტუტი, რომელიც სამეფოს დროს მეფის მრჩევლის ფუნქციას ასრულებდა